ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 7

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 19.05.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე , გია ოჩხიკიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **კობა მაღლაკელიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი- **ირმა ცხვარაძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.„ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს: ივანე მამფორია

2. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს:ზვიად კაპანაძე

3.ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N63-ში, 573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 31,01,26,219) განთავსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე მდებარე 27,5 კვ.მ. ფართის სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-თვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე, თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიშების მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ირმა ცხვარაძე

5. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს:ზვიად კაპანაძე

6. სხვადასხვა

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის N 147 განკარგულებით გამოყოფილი თანხებისა და საკუთარი სახსრების შიდა გადაადგილების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით. მუნიციპალიტეტის საკრებულო (პროგრამული კოდი 01 01 01) ასიგნება მცირდება 12,0 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის მერია (პროგრამული კოდი 01 01 02) ასიგნება მცირდება 61,1 ათასი ლარით. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01) ასიგნება მცირდება 66,0 ათასი ლარით. გარე განათების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 04) ასიგნება იზრდება 90,0 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 05) ასიგნება იზრდება 4,4 ათასი ლარით. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02) ასიგნება იზრდება 49,0 ათასი ლარით. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03) იზრდება 73,4 ათასი ლარით. ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 02) მცირდება 4,3 ათასი ლარით. ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 10836,3 ათასი ლარით, გადასახდელები 12136,8 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1300,5 ლარის რედაქციით:

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 30

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(დადგენილება N 13)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მალხაზ მამასახლისმა (ზვიად კაპანაძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე".

მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა საწყისი ფასებით:

1.1 ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 25 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.22.364) საწყისი საპრივატიზებო საფასური 600 (ექვსასი) ლარი. 2.2 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედავანში მდებარე 100 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.02.21.298) საწყისი საპრივატიზებო საფასური 1950 (ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი. 2.3 ვანის მუნიციპალიტეტში სოფ. შუამთაში მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (31.03.28.268) საწყისი საპრივატიზებო საფასური 800 (რვაასი) ლარი 2.4 ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 302 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.466) საწყისი საპრივატიზებო საფასური 610 (ექვსას ათი) ლარი. 2.5 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სულორში მდებარე 2059 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.18.24.052) საწყისი საპრივატიზებო საფასური 2475 (ორიათას ოთხას სამოცდათხუთმეტი) ლარი 2.6 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. უხუთში მდებარე 24 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.12.21.256) საწყისი საპრივატიზებო საფასური 1000 (ათასი) ლარი 2.7 სახარატე ჩარხი (16k20), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1200 (ათას ორასი) ლარი. 2.8 სალანდავი ჩარხი, საწყისი საპრივატიზებო საფასური 700 (შვიდასი) ლარი. 2.9 სახარატე ჩარხი, საწყისი საპრივატიზებო საფასური 1100 (ათას ასი) ლარი. 2.10 ვერტიკალური საბურღი ჩარხი, საწყისი საპრივატიზებო საფასური 500 (ხუთასი) ლარი. 2.11 ვერტიკალური საბურღი ჩარხი, საწყისი საპრივატიზებო საფასური 500 (ხუთასი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 30

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე."

განკარგულება N 27/14)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მალხაზ მამასახლისმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N63-ში, 573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 31,01,26,219) განთავსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე მდებარე 27,5 კვ.მ. ფართის სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის"-თვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე, თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიის მიერ შემოსულია განცხადება 27,5 კვ. მ. ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე. მერიას ამ საკითხთან დაკავშირებით ჭირდება საკრებულოს თანხმობა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 30
წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება , ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N63-ში, 573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 31,01,26,219) განთავსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე მდებარე 27,5 კვ.მ. ფართის სსიპ „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის"-თვის (ს/კ 203851509) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე, თანხმობის მიცემის თაობაზე;

(განკარგულება N 27/15)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირმა ცხვარაძემ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიშების მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ."

მომხსენებელმა მოკლედ ისაუბრა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. (დანართი N2)

2020 წელში მრავალი ღონისძიება ქონდა დაგეგმილი კულტურის სამსახურს. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საკითხების კუთხით. ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი ჩვენი რაიონის მკვიდრის ზაზა დვალიშვილის დასახმარებლად, რომელსაც მძიმე ჯანმრთელობის პრობლემები ქონდა. საკონცერტო აპარატის ქირავნობაზე დაიხარჯა 550,00 ლარი.

ტრადიციულად დაჯილდოვდნენ 2020 სასწავლო წლის ოქროსმედალოსანი კურსდამთავრებულები. შეძენილი იქნა 1000,00 ლარის ღირებულების 20 ცალი ფასიანი საჩუქარი.

მსოფლიო ოლიმპიზმის დღეს მოეწყო მძლეოსნური გარბენი, ჩატარდა აგვისტოს ომში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი-ფეხბურთის ტურნირი. აგრეთვე ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდების გოგა თვალაბეიშვილის და ბახვა გიორგაძის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში. ამ ტურნირებში მონაწილე გუნდებისათვის შეძენილი იქნა 348,00 ლარის სპორტული ინვენტარი. აგრეთვე გამარჯვებული გუნდებისთვის 90,00 ლარის ღირებულების პრიზები. ასევე ჩატარდა აფხაზეთში დაღუპული გმირის მიხეილ ერემეიშვილის ხსოვნის ტურნირი. გამოიყო 500,00 ლარი I-II-ადგილზე გასული გუნდებისათვის. ასევე ჩატარდა საფეხურთო ტურნირი,,MASTER LEAGUE"-ს ჩემპიონატის ფინალი, რომელშიც ვანის მუნიციპალიტეტის 7 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებული გუნდებისათვის გამოიყო ფულადი პრიზი 800,00 ლარი.

ვანის მუნიციპალიტეტში ჩატარდა მუსიკალური ჯგუფი ,, ჩვენი კვარტეტი"-ს კონცერტი, დაიხარჯა 1500,00 ლარი. ასევე ღია ცის ქვეშ გაიმართა მუსიკალური ჯგუფის ,,არგოს" კონცერტი, რაზეც დაიხარჯა 1600,00 ლარი. ქუთაისში გამართულ ,,იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე" ვანის სახალხო თეატრმა წარადგინა სპექტაკლი ,,ემიგრანტები" ორგანიზების ღირებულებამ შეადგინა 3000,00 ლარი.

მომხსენებლის შემდეგ სიტყვა ითხოვა დეპუტატმა შალვა ლორთქიფანიძემ.

შალვა ლორთქიფანიძე: მაინტერესებს, ,,ვანელობის"დღესასწაულთან დაკავშირებით თუ იგეგმება რაიმე ღონისძიებები. ასევე სოფლის დღესთან დაკავშირებით თუ იქნება მერიის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები. ასევე მაინტერესებს, ღია ცის ქვეშ გამართულ ღონისძიებების გახმოვანებისთვის აპარატურის შეძენა თუ გაქვთ დაგეგმილი.

ირმა ცხვარაძე: პანდემიასთან დაკავშირებით ჯერჯერობით პირველი ორი საკითხი შეჩერებულია. ხოლო, რაც შეეხება გახმოვანების აპარატურას ძალიან ძვირი ჯდება დაახლოებით 100.000, ლარი რომლის საშუალებაც ჯერ არ გვაქვს.

წარმოდგენილი ანგარიშის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. დეპუტატი გიორგი ივანიაძე შემოვიდა წინადადებით ანგარიში ჩაითვალოს მოსმენილად.

ჩატარდა კენჭისყრა

მომხრე – 30
წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ."

(განკარგულება N 27 16)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მალხაზ მამასახლისმა წარმოადგინა ,, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პრივატიზებული და სარგებლობის უფლებით გაცემის შედეგად სულ შემოსულია 101850 ლარი. ამ თანხაში სარგებლობის უფლებით , იჯარის ფორმით გადაცემული 4 ერთეული ფართიდან შემოსულია 2290 ლარი. ხოლო დანარჩენი თანხა არის პრივატიზებული ობიექტებიდან შემოსული. (დანართი N3)

წარმოდგენილი ანგარიშის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. ამ საკითხთან დაკავშირებითაც დეპუტატი გიორგი ივანიაძე შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი ანგარიში ჩაითვალოს მოსმენილად.

ჩატარდა კენჭისყრა

მომხრე – 30

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მიერ 2020 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ“

(განკარგულება N 27 17)

,, სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე